პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | პარასკევი, 27 ნოემბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

270 (968) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმ. ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელეფონი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ინგლისის კომუნისტების გასამართლება.

ამ ერთი თვის წინად ინგლისის მთავრობამ დააპატიმრა კომპარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელები. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის პროლეტარიატის ფართე მასებში.

საზოგადოთ ინგლისის ბურჟუაზია დიდათ იკვეხნება იმით, რომ, თითქოს, ინგლისში პოლიტიკური აზრის თავისუფლება სუფევდეს. მაგრამ კომუნისტების დაპატიმრებამ ნათლად დაამტკიცა ბურჟუაზიის ამ დებულების მთელი სიყალბე.

ყოველივე ბურჟუაზიულ ქვეყანაში აზრის და სიტყვის თავისუფლება არსებობს მხოლოდ იმათთვის, ვინც კაპიტალისტური წესწყობილებას ამაგრებს, ვინც მუშათა კლასის დაჩაგვრაში ბურჟუაზიას ხელს უწყობს.

მუშათა მოძრაობის გაცხოველებასთან ერთად ინგლისში ამ უკანასკნელ წელში დიდათ გაიზარდა კომუნისტური პარტიის გავლენაც ფართო მშრომელთა მასებში.

ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო ინგლისის მთავრობა. და მან გადასწყვიტა კომუნისტური საფრთხის აღმოფხვრა იმ გზით, რა გზითაც სცდილობენ აღმოფხვრან ის სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ეს გზაა—ციხე, კომუნისტებისათვის თავისუფლების აღკვეთა.

მაგრამ სანამ ციხეში ჩასვამდა კომუნისტებს ინგლისის მთავრობა, მან მოისურვა მათი „დანაშაულის“ ფართედ გაცნობა ინგლისის პროლეტარიატისათვის.

მაგრამ ვაი ასეთ გასამართლებას.

ინგლისის კომუნისტების დაპატიმრებამ და გასამართლებამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო ვიდრე, ამას მოელოდენ კაპიტალისტები.

კომუნისტების დევნამ ის გამოიტანა, რომ კომპარტიისადმი სიმპატია, თანაგრძნობა და ინტერესი ერთი ორად გაიზარდა ინგლისის მუშებში.

თვით დაპატიმრებულ კომუნისტების გმირულმა გამოსვლებმა გასამართლების დროს კიდევ უფრო გაზარდა ეს სიმპატია და დიდათ აღამაღლა კომპარტიის ავტორიტეტი. ინგლისის მუშები არც ისე ბრმა არიან, რომ ვერ გაარჩიონ შავი და თეთრი.

როცა მათი მოსისხლე მტრები—ინგლისის ფაშისტები, თავისუფლად დათარეშობენ ინგლისში და მთავრობა მათ ხელს არ ახლებს, კომუნისტებს, რომლებიც მუშათა კლასის ინტერესებისათვის იბრძვიან ბურჟუაზიული ხელისუფლება აპატიმრებს და ციხეში ათავსებს.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, რომ ინგლისის სასამართლომ უკვე გამოუტანა სასჯელი კომუნისტებს.

იგივე რადიო გვატყობინებს, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ ბურჟუაზიული მოსამართლენი შეეცადენ „მოექციანებიათ“ პატიმარი რევოლიუციონერები ე. ი. აეძულებიათ ისინი უარი ეთქვათ თავის პოლიტიკურ რწმენაზე.

ცხადია პატიმარ კომუნისტებმა კატეგორიულად უარყვეს ეს საზიზღრობა.

საბრალო ინგლისის კაპიტალის მსახურნო!

მათ გონიათ, რომ კომუნისტები ისეთი ხალხია, რომლებიც სოციალ-გამყიდველებსა და სხვა ჯურის ძვირფასი წვრილ ბურჟუაზიულ პარტიასავით იცვლიან პოლიტიკურ სახეს, როგორც ხელთათმანს.

არასოდეს.

ინგლისის კომუნისტური პარტია ერთ-ერთი სახელოვანი შტოა დიდი კომუნისტური ინტერნაციონალისა. ის არა დროს არ წამოეგება ბურჟუაზიის ასეთი პროვოკაციის ანკესზე. თავისი სიმტკიცით, რევოლიუციონური შეუდრეკლობით და შეურიგებელი ბრძოლით კაპიტალის და ყველა მისი მოციქულების წინააღმდეგ ის შესძლებს ინგლისის პროლეტარიატის ფართო მასების თავის გავლენის ქვეშ მოქცევას, დარაზმვას და მათ წაყვანას გადამჭრელ ბრძოლაში დახავსებულ ინგლისის კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

## ახალი რადიო-ამბები

### ამხ. ზინოვიევის მოხსენება მელითონეთა საკავშირო ყრილობაზე.

#### დგება ოქტომბრის განაღდების ხანა მთელ ქვეყნიერებაზე.

მელითონეთა საკავშირო ყრილობაზე 25 ნოემბერს ამხ. ზინოვიევმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ,



„უკანასკნელ წლებში—განაცხადა მან—სწარმოებდა ბევრი დიპლომატიური კონფერენციები, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივად დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევთ. ლოკარნოს კონფერენცია ვერსალის შემდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნების გაერთიანების სერიოზული ცდაა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცხადია გამოქვეყნებულ საბუთებს გარდა არის აგრეთვე საიდუმლო საბუთების მთელი რიგი. აი რატომ ვერ განვსაზღვრეთ ჩვენ ლოკარნოს ხელშეკრულების მთელი მნიშვნელობა. ლოკარნოს ხელშეკრულება, უეჭველია, მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმავ დროს საბელს აბამს ყელზე გერმანიას, რომელსაც მიათრევს ერთა ლიგაში და სურს გადააქციოს ის ყმად. ლოკარნოს კონფერენცია—ეს არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების ცდა.

როგორია ცალკე ქვეყნების მდგომარეობა? ინგლისის ეკონომიკა ეცემა. ამასთან ჩვენ ვხედავთ, რომ პროფკავშირები თანდათან იხრებიან მარცხნივ.

საფრანგეთი ერთ და იმავე დროს აწარმოებს ორ ომს—მაროკოსა და სირიაში და განიცდის მწვავე ფინანსიურ კრიზისს. იზრდება წვრილ ბურჟუაზიასა და გლეხობას შორის უკმაყოფილება.

პოლონეთი სცხოვრობდა დღემდის საფრანგეთის ანარეკლი შუქით. საფრანგეთის კრიზისმა გამოიწვია პოლონეთის კრიზისი. პოლონეთის სეიმის დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან რეაქციონური წესით, გადადიან კომუნისტების მხარეზე.

გერმანიაში დადგა გაკოტრებისა და უმუშევრობის პერიოდი.

იტალიაში არამც თუ მარტო კომუნისტური პარტია, არამედ მენშევიკებიც კი გამოდიან აშკარად მუსოლინის წინააღმდეგ.

იმავ დროს საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობა თანდათან ძლიერდება. გერმანიის კომპარტიამ მიიღო ქალაქის არჩევნებში თითქმის ოთხასიათასამდე ხმა. ჩეხო-სლოვაკიაში საპარლამენტო არჩევნების დროს მიიღეს ერთი მილიონზე მეტი ხმა.

კომუნიზმი იმარჯვებს აგრეთვე ბელგიასა და ავსტრიაშიც.

ასე რომ კომუნიზმმა გაიარა მძიმე კრიზისები და გადალახა ძნელი გადასავალი მწვერვალები.

ჩვენ ვხედავთ დიდ რევოლიუციონურ მოძრაობას აღმოსავლეთში, რაც ამართლებს ლენინის დიაგნოზს რევოლიუციის მიმდინარეობაზე. რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში ევროპის რევოლიუციის დასაწყისს აქცევს მსოფლიო რევოლიუციის დასაწყისად. ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ კაპიტალიზმის მომაგრება მხოლოდ გარეგნულია და მოსაჩვენარი. დგება ოქტომბრის პროგრამის ჭეშმარიტი განაღდების ხანა.

პროლეტარიატის ავ ნგარდის ამოცანაა განსჭვრიტოს ახალი სიძნელენი და არ დაითრონ მიღწეულ წარმატებებით. ჩვენ ვმუშაობთ საბჭოთა კავშირის მუშათა ბოლშევიზაციაზე და ვსცდილობთ შევიტანოთ ჩვენი მუშაობის ყველა დარგებში ლენინური სული. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ბოლშევიზაცია—ეს ნიშნავს სოციალიზმის შენებას“.

## რა ღირს „წითელ არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის.

## მეტი ყურადღება მწვევამდელთა შორის მომუშავე პოლიტ-ხელებს

მწვევამდელთა შეკრება უკვე მოახლოვებულია. უმთავრესი ყურადღება მწვევამდელთა შეკრების დროს უნდა მიექცეს პოლიტ-საგანმანათლებლო და სამხედრო საქმის სასურველ დონეზე დაყენებას.

წარსულში გატარებულ მუშაობიდან ჩვენ ვიცით, რომ მწვევამდელთა შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგი ძლიერ მოისუსტებდა, რადგან ამ დარგის მუშაობას წარსულში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება სათანადო ორგანოების მიერ.

რაში გამოიხატებოდა ეს უყურადღებობა? მწვევამდელთა შორის მუშაობისათვის ჩვენს ნაწილებს არა ყავთ საკმაო პოლიტ-ხელები, ამიტომ მთელი პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა სათანადო ორგანოების დადგენილებით დაკისრებული აქვთ კომკავშირის ადგ. კომიტეტებს, რომლებიც დებულების თანახმად ვალდებული არიან გამოყონ თავიანთ რიგებიდან, (სასურველია მწვევამდელ ჰასაკის კომკავშირლებიდან) კარგათ მომზადებული და გათვითცნობიერებული პირები—პოლიტიკური ხელმძღვანელები და მიამაგრონ მწვევამდელთა წერტებზე პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გასატარებლად.

მაგრამ საუბედუროდ წარსულში ეს ასე არ ხდებოდა. კომკავშირის ადგილობრივი კომიტეტები ბევრ ალაგას არ ყოფდენ პოლიტ-ხელებს და არ აძლევდენ ჩვენს ნაწილებს მწვევამდელთა შორის სამუშაოდ, ან და ყოფდენ ისეთ პირებს, რომლებიც არ შეეფერებოდენ თავიანთ დანიშნულებას, რის გამოც წერტებზე შეკრებილ მწვევამდელ ჰასაკის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა არ მიმდინარეობდა ნორმალურად.

ამ ნაკლის თავის დროზე მიექცა ჯეროვანი ყურადღება. მიმდინარე წელში შემუშავებულ იქნა სათანადო პროგრამა კომკავშირის ადგ. კომიტეტების მიერ გამოყოფილ პოლიტ-ხელთა გადასამზადებელი სემინარების მოსაწყობად, რომ შემდეგში კარგათ მომზადებულ პოლიტ-ხელებს გაეტარებიათ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა მწვევამდელთა შორის, უკანასკნელების შეკრების დროს.

ამ ჟამად რამოდენიმე ალაგას მეორე ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მწვევამდელთა შორის მომუშავე პოლიტ-ხელების გადასამზადებელი სემინარების მეცადინეობა. მეცადინეობა სწარმოებს დაკვრივებით წესით და უნდა დამთავრდეს 30 ნოემბრამდე. მხოლოდ მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ კომკავშირის ადგ. კომიტეტებმა თავის დროზე არ გამოყვეს პოლიტ-ხელები და არ მისცეს ჩვენს ნაწილებს სემინარების პროგრამის გასავლელად და შესათვისებლად.

უნდა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ჩვენი ნაწილების მიერ, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს ნაყოფიერად, რაზედაც დამოკიდებულია მომავალში მწვევამდელთა შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის სასურველად გატარება.

მ.

# სამოქალაქო ომი ჩინეთში

## მდგომარეობა ფრონტებზე გართულებულია

— მუკდენის არმიას განზრახული აქვს, როგორც არ უნდა იყოს დაამარცხოს ჩჟან-ძო-ლინი. ჩჟან-ძო-ლინის ჯარებში იზრდება უწესრიგობა.

— სამხრეთის არმიასა და ჩჟან-ძო-ლინს შორის სათობით მიელიან შეტაკებას.

— ჩჟან-ძო-ლინმა გაუგზავნა პეკინის პრეზიდენტს დუან-ცზი-ჩჟუის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„მე იმდენ დათმობაზე წავედი, რომ მეტი დათმობა შეუძლებელია. მე იძულებული ვარ გავილაშქრო იმათ წინააღმდეგ, ვინც მემუქრება, თუ გინდაც ეს ბრძოლა ჩემთვის დამღუპველი იყოს.

— ჩჟან-ძო-ლინი თავს უყრის თავის ჯარებს ტიან-ცზინის გარშემო და ამზადებს სანგრებს.

ჩჟან-ძო-ლინის ერთი დივიზია ამაგრებს მისადგომებს ჩინეთის მაღალ კედლებთან.

მიმოსვლა პეკინ-მუკდენის რკინის გზის ხაზზე შეწყვეტილია.

— ხმებია, რომ მუკდენში სერიოზული მღელვარებაა და რომ ჩჟან-ცზო-ლინი დაააპატიმრეს.

— ჩჟან-ძო ლინის მომხრეები გარბიან პეკინიდან და ტიან-ცზინიდან. დროებითი მთავრობის თავმჯდომარე დუან-ცზი-ჩჟუიმ გაგზავნა ოჯახი.

პეკინიდან გადის ბევრი უცხოელი.

# ესტონეთის მთავრობა გადადგა.

ესტონეთის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს. მთავრობა გადადგა.

სახელმწიფო კრებამ მიანდო თავმჯდომარეს ახალი მთავრობის შედგენა.

# განაჩენი ინგლისელ კომუნისტების მიმართ

## „განაჩენი არღვევს პოლიტიკურ აზრისა და ორგანიზაციების თავისუფლებას“.

ინგლისელ კომუნისტებს ინკპინს, პოლიტს, რესტს, გალახერსა და განნინგტონს სასამართლომ მიუსაჯა თითო წლის ციხე, დანარჩენ 6 კაცს ნახევარ-ნახევარი წლის.

მოსამართლემ განაჩენის გამოცხადების შემდეგ მოსთხოვა თვითეულ ბრალდებულს სიტყვა, რომ შესწყვეტენ კომუნისტურ მოღვაწეობას, რაზედაც უარი მიიღო.

ინგლისის პროფ-ორგანიზაციისა და მრავალი საზოგადოებრივი მოღვაწეები აღშფოთებას გამოსთქვამენ განაჩენით და აცხადებენ, რომ ეს არღვევს პოლიტიკურ აზრისა და ორგანიზაციების თავისუფლებას.

# უცხო სიტყვების ახსნა.

კაბინეტი—მთავრობის—ბურჟუაზიულ ქვეყნების მთავრობის შემადგენლობა.

ბლოკი—პოლიტიკურ პარტიების კავშირი.

ავანგარდი—მოწინავე რაზმი.

დიაგნოზი—განსჭვრეტა გარემოების; მოვლენათა ვითარების მიხედვით მომავლის წინასწარ გამოცნობა.

კონფერენცია—სახელმწიფოს, ორგანიზაციების, დაწესებულებების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც აქვს მხოლოდ სათათბირო ხასიათი.

სეიმი—სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულება ლატვიაში, პოლონეთში, ფინეთში და სხვა.

რადიკალების პარტია—პარტია, რომელიც მომხრეა სახელმწიფოში ცვლილებების იმდენად, რამდენადაც ეს ცვლილებები არ არღვევენ ბურჟუაზიულ წესწყობილების საფუძვლებს.

ეკონომიკა—საზოგადოებრივი ცხოვრების სამეურნეო მხარე.

კრიზისი—მძიმე, გარდამავალი ხანა.

# შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში უცხო სიტყვების ახსნაში კორრექტურული შეცდომის გამო ახსნილია სიტყვა პროტესტი პროცესის მაგივრად.

# ჩვენი მეურნეობა აღორძინების გზაზე.

## მებამბეობა აფხაზეთში.

ბამბის მეურნეობა აფხაზეთში აღორძინების ხანაშია. ზოგიერთ რაიონებში განსაკუთრებით ბამბის მოსავალი იძლევა დიდ იმედებს. განსაკუთრებით კარგათ ხარობს ბამბა გალის რაიონში. გარდა გალის რაიონისა მოხდა ცდები, თუ სხვა რაიონებშიაც როგორი იქნებოდა ბამბის მოსავალი. ამ მიზნით დაარსდა საცდელ-დამახარისხებელი დაწესებულება, რომელმაც გამოარკვია, რომ სოჩამდე ბამბის მოსავალი ყველგან კარგი იქნება.

განსაკუთრებით კარგათ ხარობს წითელ ფურცლოვანი ბამბა, რომლის ქულაც შესდგება გოჯის სიგრძე ბეწვებისაგან. სხვა ქვეყნებში კი ბამბის ქულას ბეწვები ამის ნახევარი სიგრძისაც არ არის.

გადაწყვეტილია გაიხსნას დაბა გალში ბამბის საწმენდი ქარხანა.

აფხაზეთის მებამბეობის კომიტეტს განზრახვა აქვს წლევანდელ მოსავლიდან დაამზადოს 35.000 ფუთი ნედლი ბამბა 130.000 მანეთის ღირებულების.

თუ წელს ბამბის მეურნეობა აფხაზეთში კიდევ ახალი საქმეა, უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ წლებში იგი მოგვცემს იმდენ ნედლეულობას, რომ დააკმაყოფილებს ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებას და გადაიქცევა უსაჭიროეს საექსპორტო (საზღვარ გარეთ გასატან) საქონლად.

დ.

# ახალგაზრდო, დაეუფლე სამხედრო სწავლას.

## ახალგაზრდო, შეისწავლე შაშხანის კარგად ხმარება

თუ შაშხანის მოხმარა არ იცი, ის ზედმეტი ბარგია ბრძოლაში.

ჩვენ ვიცით, რომ შაშხანა ეძლევა მეომარს იმისთვის, რათა შემუსროს მტერი შორ მანძილზე ტყვიით, ხოლო ახლო—კონდახითა და ხიშტით. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მეომარს საქმე ექნება შეიარაღებულ მტერთან, რომელიც მზად იქნება თვითონ გაანადგუროს პირველმა მოპირდაპირე. როგორ უნდა მოიქცე ასეთ შემთხვევაში, რომ მტერს დაასწრო და დაამარცხო ის?

ამისთვის საჭიროა, რათა წითელი არმიის თვითეულ სამხედრო მსახურმა უკეთ იცოდეს სროლა და საერთოდ თოფის ხმარება, ვინემ მის მოპირდაპირემ. ხოლო სროლაში კარგი მომზადებული და კარგი მსროლელი მაშინ იქნება მეომარი, როცა მას კარგად ეცოდინება თავისი შაშხანა, მისი მოხვედრის თავისებურობა და სხვა. თუ რომ მეომარი ამ პირობებს არ შეასრულებს, ის ვერ დაამარცხებს მტერს, ხოლო ხშირად თვითონაც დაიღუპება.

რაში გამოიხატება შაშხანის შესწავლა და მისი ხმარების ცოდნა? კარგად უნდა იცოდე შაშხანის ყველა ნაწილები, მათი დანიშნულება, ურთიერთ მოქმედება, აწყობა, დაშლა და წმენდა. როგორც კარგ მიწის მუშას ესმის თავისი გუთნის კარგი და ცუდი მხარე, ხოლო მუშას—თავისი მანქანა, ისე წითელ არმიელმაც უნდა იცოდეს ზეპირად თავისი შაშხანა, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გარდა შაშხანის ნაწილების ცოდნისა მეომარმა უნდა იცოდეს შაშხანის კარგად ხმარება.

მაგრამ შაშხანის ხმარება უნდა შეეძლოს როგორც წესი და რიგია, უნდა გეჭიროს ხელში მაგრად, სწორად გაუმიზნო და გაუშალო ფეხი; აი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შაშხანა საშიში მტრისთვის.

თუ რა მნიშვნელობა აქვს იარაღის კარგად ხმარებას, ეს სჩანს შემდეგი მაგალითებიდან: გუთნის გამკეთებელმა კარგად იცის თავისი გუთნის ყველა ნაწილი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მან არ იცის ამ გუთნით ხვნა. მუშამ, რომელიც ამზადებს ცელებს, შეიძლება არც კი იცოდეს ცელვა.

მეომარი, რომელსაც არ შეუძლია შაშხანის კარგად ხმარება, უვნებელი და უშიშარია მტრისთვის. აქედან დასკვნა: თვითეულ მეომარმა არამც თუ უნდა შეისწავლოს თავისი შაშხანა, არამედ სწრაფადაც უნდა შეეძლოს მისი ხმარება.

ხოლო შაშხანის ხმარება რომ კარგად შეეძლოს, ამისთვის საჭიროა ხელი შეაჩვიო შაშხანის მომზადებას სასროლად, რის შესახებაც ვილაპარაკებთ შემდეგში.

ი. ბარ.

# შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

## რა ასწავლა მუშებსა და გლეხებს 1905 წლის რევოლიუციამ.

დამარცხდა 1905 წლის რევოლიუცია. ეს რევოლიუცია ძვირად დაუჯდა მუშებსა და გლეხებს. მაგრამ მოუტანა თუ არა მან რაიმე სარგებლობა მშრომელებს? რასაკვირველია მოუტანა. ლენინს არა ერთხელ უთქვამს: 1905 წლის რევოლიუცია რომ არ ყოფილიყო, მუშები და გლეხები ვერ გაიმარჯვებდენ 1917 წლის ოქტომბერშიო.

1905 წლის რევოლიუციამ ბევრი რამ ასწავლა მუშებსა და გლეხებს. პირველყოვლისა მან აამაღლა ხალხის მასების რევოლიუციონური შეგნება.

1905 წლის დამარცხების მძიმე გამოცდილებამ გლეხს კარგად შეათვისებია ორი აზრი. პირველი ის, რომ მისი მტერი არა მხოლოდ ესა თუ ის მემამულეა, რომელიც შეიძლება აბარგო მამულიდან, არამედ მემამულეების მთელი კლასი, რომელსაც სათავეში უდგას მეფის თვითმპყრობლობა. და არა მარტო ცალკე მემამულის წინააღმდეგ უნდა აწარმოო ბრძოლა, არამედ მთელ მემამულურ წესწყობილებისა და თვითმპყრობლურ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამის შეგნებით გლეხმა მეორეც გაიგო და სახელდობრ: მემამულური წესწყობილების დამარცხება, მიწის მიპოება და თვითმპყრობელობის განადგურება შეიძლება მხოლოდ რევოლიუციონურ კლასთან ერთად, მუშათა კლასთან რევოლიუციონურ კავშირში შესვლით. აი ის უმთავრესი, რასაც ასწავლიდენ ბოლშევიკები მუშებსა და გლეხებს და რის სისწორეშიც დაარწმუნა ისინი 1905 წლის რევოლიუციამ.

გლეხმა გაიგო, რომ მუშებთან კავშირს გარეშე მიწის ხელში ჩაგდება მათ მხოლოდ როზგებსა და სისხლის ღვრას დაუტოვებს.

ამ რევოლიუციის გაკვეთილმა ნაყოფი მოიტანა 1917 წელში. როცა ბურჟუაზიამ პირ სისხლიან ნიკოლოზის მაგივრად მოინდომა მიხეილის აყვანა ტახტზე,—მუშებმა და გლეხებმა ამაზე მტკიცედ უპასუხეს: „არა, ძირს მეფე!“

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მუშებმა და გლეხებმა ისწავლეს ბურჟუაზიის სათანადოდ შეფასება. მხოლოდ 1917 წლის რევოლიუციის პირველ დღეებში ისინი უჯეროდენ ბურჟუაზიულ ბელადებს (მილიუკოვს, როძიანკოს და სხვა).

მაგრამ შესდგა თუ არა საბჭოები, როგორც ეს 1905 წელში იყო, მუშები, გლეხები და ჯარისკაცები შეკავშირდენ ამ საბჭოების გარშემო.

ბურჟუაზიულ დროებითმა მთავრობამ რამოდენიმე ხანი იარსება, მაგრამ ეს მენშევიკებისა და ესერების წყალობით, რომელთა გამცემლური ბუნების გაგება შედარებით ძნელი იყო. მაგრამ სოციალ-გამყიდველებისადმი რწმენაც მალე გაჰქრა იმავე 1905 წლის რევოლიუციის გამოცდილებისა და გაკვეთილების წყალობით.

საბჭოების მოუწყობლად მუშურ-გლეხურ რევოლიუციას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გამარჯვება. მაგრამ საბჭოები 1905 წლის რევოლიუციის ნაყოფია.

და ბოლოს, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას არ შეეძლო ასე ადვილად და გამარჯვებით ჩატარება, რომ გლეხებს, მუშებსა და ბოლშევიკურ პარტიას არ ჰქონებოდა მოსკოვის აჯანყების 1905 წლის გამოცდილება.

მოსკოვის აჯანყებამ ასწავლა მუშებსა და გლეხებს ბრძოლის გაბედულად წარმოება, ასწავლა თავდასხმა გაუბედავ მოგერიების მაგივრად.

რაც არ უნდა ავიღოთ ჩვენ 1917 წლის გამარჯვებიდან, ყველგან ამ გამარჯვების ფესვები გადგმულია რევოლიუციონურ მეცნიერებაში, რომლითაც ეზიარა მუშები და გლეხები 1905 წელში.

და აწიც ეს მეცნიერება სარგებლობას მოუტანს მუშებს და გლეხებს. და აწიც მოაგონებს ის მუშებსა და გლეხებს მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე ურთიერთშორის. 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა იმიტომ, რომ არ არსებობდა ასეთი კავშირი. ამ კავშირმა გაიმარჯვა 1917 წელში. ამ კავშირზეა დამყარებული მუშურ გლეხური ხელისუფლება, მასზეა დამყარებული მთელი ოქტომბრის მონაპოვარი.

ეს კავშირი უნდა იყოს ძლიერი და დაურღვევი. ამას გვასწავლის არა მარტო ჩვენი ოქტომბრის რევოლიუცია, არამედ ამასვე გვაგონებს დამარცხებული 1905 წლის რევოლიუცია.

ი. ფ.

თუ გაინტერესებთ არმიის ყოფა-ცხოვრება, სამხედრო ტეხნიკის განვითარება და რა ხდება უცხოეთის არმიებში

გამოიწერეთ „წითელი არმიელი“.

# გარე დღიურების მოვალეობანი.

ცალკე ნაწილში ან ცალკე დაბინავებულ ასეულში აყენებენ დღიურს ჭისკართან. ამ დღიურს ეწოდება გარე დღიური. ის ემორჩილება ნაწილის მორიგეს, ხოლო თუ ასეულის ჭისკართან სდგას,—ასეულის მორიგეს.

გარე დღიურმა არ უნდა გაუშვას ყაზარმიდან სამხედრო მსახური, რომელსაც არ აქვს გასაშვები ბარათი, რომელიც უწესრიგოდ და ფორმით არაა ჩაცმული. ზოგიერთ ადგილებში ჭისკართან დაწესებულია გასაშვები ნივთების გატანაზე. აქ დღიურმა უნდა გასინჯოს ეს გასაშვები და არავინ გაუშვას, თუ ასეთი არ აღმოაჩნდება. თუ რომ ის შეამჩნევს, რომ ნივთები მოპარულია, უნდა დააკავოს გამსვლელი და გამოუძახოს მორიგეს.

ვის არ უშვებს დღიური ეზოში და ბინაში? პირველყოვლისა ქუჩის ვაჭრებს, მოხეტიალე მუსიკოსებსა და წიგნების დამტარებლებს. რაც შეეხება მნახველთ, რომლებიც მოდიან ნაწილში (ლეგიონში, ასეულში) და კერძო პირთ, დღიური უშვებს მათ დანიშნულ დროს, როგორც ეს დაწესებული იქნება მოცემულ ნაწილში.

აი უმთავრესი მოვალეობანი გარე დღიურისა.

ეხლა ვიკითხოთ, რა უნდა ქნას გარე დღიურმა, თუ რომ ის ახლო მახლო შეამჩნევს ჩხუბს, ხმაურობას, რაიმე ძალადობას ან ცეცხლს?

შეუძლია თუ არა მას დასტოვოს თავისი ადგილი რათა თვითონ შესწავლოს შენიშნული შემთხვევა და მიიღოს მონაწილეობა ცეცხლის ჩაქრობაში? ანდა შეუძლია თუ არა მას დარჩეს მშვიდათ თავის ადგილზე და უყუროს თუ რა ხდება?

ახალგაზრდა წითელ არმიელებო, დაიფიქრეთ და უპასუხეთ თავს—როგორ მოიქცეოდით ასეთ შემთხვევაში, ხოლო შემდეგ კი მოძებნეთ შინა სამსახურის წესდებაში ეს ადგილი და შეადარეთ თქვენ პასუხს.

პ.

# წითელი ყაზარმა შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას.

## ჩვენი ახალწვეულები ამუშავდნენ.

1-ლი ლეგ. 4-ე ასეული.

ყაზარმებში გადმოყვანის შემდეგ, ჩვენი ასეულის ახალწვეულები გულმოდგინეთ ეკიდებიან ყოველგვარ მეცადინეობას. ვერ ნახავთ ერთ ახალწვეულს, რომელსაც ეზარებოდეს მეცადინეობაზე დასწრება. პირიქით ისინი ერთმანეთს ეცილებიან ადგილების დაკავებაში. პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ხასიათის მუშაობა უკვე სისტემატიურად მიმდინარეობს ამხანაგებთან.

საუბრებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შეკითხვებით, ხოლო მეცადინეობის დროს თავს იყრიან ჯგუფ-ჯგუფად და თავის შეხედულობას ერთმანეთს აცნობენ ჩატარებული პოლიტსაათის შესახებ.

ძლიერ დაინტერესებული არიან ჩვენი ახალწვეულები აგრეთვე სხვა და სხვა წრეების მუშაობით. სპორტი ყველას მოსწონს, სიამოვნებით ვარჯიშობენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობაში.

თავისუფალ საათებში ყველა მეცადინეობს, კითხულობენ ჟურნალ გაზეთებს და წიგნებს.

ძლიერ დაინტერესებული არიან აგრეთვე რევოლიუციონური სიმღერების შესწავლით.

სულ მალე ჩვენი ახალწვეულები საკმაოდ გაიწვრთნებიან და მომზადდებიან. ამისათვის ყოველგვარი ზომებია მიღებული ასეულის მეთაურების მიერ.

სამხკორი ივ. ბარელ ძე.

## ჩვენი ახალწვეულები.

1 ლი ცალკე მესანგრეთა ასეული.

ჩვენი ასეულის ყაზარმები გაამხიარულა კარანტინიდან გადმოყვანილ ახალწვეულებმა, რომლებიც დიდი ამბით მოელოდენ ამ მომენტს. კარანტინში დაწყებული საუბრები და მეცადინეობა აქაც შეუჩერებლივ განაგრძეს და იშვიათი გულმოდგინეობით ეცნობიან წითელი ჯარის მნიშვნელობას და მის ყაზარმულ ცხოვრებას. ძველი წითელ არმიელები და მეთაურთა შემადგენლობა, ყოველთვის მათთან არიან და ესაუბრებიან, ისინი უკვე ხელიხელ ჩაკიდებული განაგრძობენ მუშაობას.

ამხანაგებისათვის თანდათან ნათელი ხდება ახალი წითელი ყაზარმის მთელი სიდიადე. ისინი დიდი გულმოდგინეობით ასრულებენ ყველა დავალებებს. დისციპლინის დაცვას დიდი მოწიწებით უყურებენ.

სამხედრო საქმე და სხვა კულტურული მუშაობა ძლიერ აინტერესებთ.

სამხკორი ლეო.

## შევქმნათ ესკადრონების კედლის გაზეთები.

ცხენ. ლეგიონი,

ჩვენს ლეგიონში მხოლოდ ერთი კედლის გაზეთი გამოდის, რომლებსაც დაატარებენ ხან პირველ, ხან მეორე და ხან მესამე ესკადრონებში. რამდენი ხანია რაც მარტო ამ ერთი გაზეთის ამარა ვართ დარჩენილი. ესკადრონების კედლის გაზეთების რედკოლეგიები დიდ უმოქმედობას იჩენენ. საჭიროა თითეულ ესკადრონში გამოდიოდეს კედლ-გაზეთები და ჩაითრიონ მუშაობაში წითელ არმიელთა ფართო მასები.

დროა სათანადო ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვისაც ჯერ არს და გავხდეთ კედლის გაზეთების ღირსი.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ხშირად ასეთი თვითმოქმედების საღამოები.

1-ლ ცალკე მესანგრეთა ასეული.

18 ნოემბერს ასეულის ლენინის კუთხეში მოეწყო წითელ არმიელთა თვითმოქმედების საღამო. დაესწრენ როგორც ძველი ისე ახალწვეული წითელ არმიელები.

საღამო დაიწყო წითელ არმიელების საკუთარი ლექსთა თქმით, მოთხრობების კითხვით და სხვა. საღამოში უახლოესი მონაწილეობა მიიღეს ასეულის მეთაურებმაც, რაც უფრო შინაარსს აძლევდა მას.

საღამომ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა განსაკუთრებით ახალწვეულ არმიელებზე, რომლებიც სურვილს გამოსთქვამენ, რათა ხშირად გაუმართონ ასეთი საღამოები მათ.

კარგი იქნება მართლაც ხშირად მოეწყობოდეს ლენკუთხეში ასეთები, რადგან სხვა სარგებლობის გარდა ის ძლიერ შეუწყობს ხელს მეთაურების და არმიელების ერთმანეთთან მჭიდრო დაახლოვებას.

სამხკორი მურზუკ.

## მოსავალი წვევამდე მომზადებისათვის

### მწვევამდელთა შორის მომუშავე პოლიტ-ხელების გადასამზადებელი სემინარი.

მეექვსე ლეგიონი.

მწვევამდელთა პოლიტ-ხელების გადასამზადებელი სემინარების მეცადინეობა დაიწყო 24 ნოემბერს.

მაზრებიდან უკვე ჩამოვიდენ გამოყოფილი პოლიტ-ხელები, მხოლოდ ადგილობრივ ჯერ კიდევ არ მოსულან, რადგან თბილისის კომიტეტი კომკავშირისა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მუშაობას.

მეცადინეობა უნდა გაგრძელდეს 7 დღეს. 30 ნოემბერს გადამზადებული პოლიტხელები უკვე ადგილებზე უნდა იქნენ.

24 ნოემბერს ამხ. ხუციშვილის მიერ ჩატარებულ იქნა საუბარი პოლიტ-ხელების ქართულ ჯგუფთან შემდეგ თემაზე; პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის ამოცანები მწვევამდელთა შორის".

მოხსენება იყო მკაფიო და გასაგები ყველასთვის. პოლიტ-ხელები ძლიერ დაინტერესა ამ მოხსენებამ და ყველა მათგანი იწერდა თავის რვეულებში მთავარ საკითხებს. შეთვისებაც ძლიერ კარგია.

სემინარის მეცადინეობა სწარმოებს დღეში 8 საათი, რომელთაგან 7 საათი დათმობილი აქვს პოლიტ-საგანმანათლებლო საქმეს, 1 საათი კი სამხედროსას.

რომ არ შეფერხდეს სემინარის მეცადინეობა და აქედან მივიღოთ დადებითი შედეგები, ამისათვის საჭირო იქნება კომკავშირის თბილისის კომიტეტმა სასწრაფოთ გამოგზავნოს სემინარებზე გამოყოფილი პოლიტ-ხელები.

სამხკორი ე—ლი.

## ქ. მეთაურთა სკოლის წით. არმიელები.

ახალწვეულები ისევ კარანტინში არიან.

მშვენიერი მზიანი დღეა. სკოლის ეზოში კარანტინის წინ მიწაზე გაშლილან ახალწვეულები და ისმენენ საუბარს.

საუბრის საგანია: კედლისა და შუქის გაზეთი. საუბრის ხელმძღვანელი ეუბნება, რომ რაც მათ (ახალწვეულებმა) პოლიტიკურ საუბრებიდან გაიგეს, რაც ახალი ნახეს, ან რაც აინტერესებთ, ამაზე შეიძლება კედლის გაზეთში წერილის მოთავსება.

საჭიროა იმ ნაკლთა აღნიშვნაც, რომელიც ახალწვეულებს ემჩნევათ და უნდა გამოასწორონ. მაგალითად:

ბევრ სხვა ნაკლოვანებათა გამოსწორება შეიძლება შუქისა და კედლის გაზეთების საშვალებით. აღნიშნავს მოსაუბრე.

გამოირკვა, რომ, 60 ახალწვეულში 15 კაცი წერა-კითხვის უცოდინარია.

ორ-ორ მცოდნეს ჩაებარა თითო უცოდინარი და აქვე დაიწყო მეცადინეობა ვარჯიშობა..

სკოლის უმწყობრო და სამწყობრო გუნდებიდან ძველი წითელ არმიელები ამ დღეებში შვებულებაში მიდიან.

ეს გარემოება ახალწვეულებსაც ახარებთ, რადგანაც ისინი გადავლენ წითელ ყაზარმაში და შეუდგებიან საერთო ჩვეულებრივ მუშაობას.

სამხკორი ხოხო ვანო.

## უკვე წავიდენ წერტებზე სამუშაოდ

მექვსე ლეგიონი.

უკანასკნელ ხანებში ნაწილის სამხკორთა შორის სწარმოებდა გაცხოველებული მუშაობა. ყველა სამხკორი ჩაბმული იყო ნაწილის კედლის გაზეთებისა და სამხკორთა წრეების მუშაობაში. ასეთმა გეგმიანმა მუშაობამ გამოიღო სათანადო ნაყოფი. სამხკორები ამ ხნის განმავლობაში თანამშრომლობდენ ნაწილის კედლის გაზეთებში და გაზ. „წითელ არმიელში". თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაზ. „წითელ არმიელში" ჩვენი ნაწილის ყოფა-ცხოვრების გაშუქება ემ ბოლო ხანებში ძლიერ შესუსტდა.

ამ ჟამად უკვე კვლავ ახლდება ჩვენი მუშაობა. ნაწილების წერტებზე ამ დღეებში უკვე წავიდენ გადამზადებული სამხკორები, რომლებიც იქ გამოაცოცხლებენ ამ მუშაობას. გადამზადებულ სამხკორების რიცხვი არის 29. ეს რიცხვი საკმარი იქნება მისთვის, რომ ჩვენს წერტებზე კარგათ მოეწყოს სამხკორთა ქსელები, კედლის გაზეთების გამოცემის საქმე, კავშირი გაიბას ტერ-სამხკორებთან, მწვევამდელთა შორის მყოფ სამხკორებთან და სხვა. ამ ამხანაგებმა წერტებზე მისვლისთანავე უნდა გამოაცოცხლონ ამ დარგის მუშაობა და დაიკავონ მჭიდრო კავშირი გაზ. „წითელ არმიელთან".

იმედი გვაქვს, რომ ეს ამხანაგები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ვუსურვოთ მათ ნაყოფიერი მუშაობა.

სამხკორი კ. გა—დია.

## წითელი ყაზარმა ღირსეულად შეგვხვდა.

1-ლი ლეგიონი.

დღეიდან ჩვენ ვიმყოფებით იმ შეგნებული, ამხანაგური დისციპლინის ქვეშ, რომლითაც ასე ამაყობს წითელი ყაზარმა, და რომელმაც ჩვენ ასე განცვიფრებაში მოგვიყვანა.

ჩვენ კიდევ არ გვჯეროდა თუ მართლა ასეთი ძმგობრული განწყობილება იყო წითელ ყაზარმაში მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის. არც მაშინ დავიჯერეთ, როდესაც სადგურზე შემოგვეგებენ პირველი ლეგიონის მეთაურები და ამხანაგურად გაგვიმართეს საუბარი, მაგრამ წითელ ყაზარმაში რამოდენიმე, დღით ყოფნამ დაგვარწმუნა, რომ იქ უფროსი და წ. არმიელი ერთი არიან, ერთ დიდ საქმეს, მშრომელი ხალხის ხელისუფლების დაცვის საქმეს ემსახურებიან. დავრწმუნდით, რომ წითელი ყაზარმა მართლა სკოლა ყოფილა, სადაც სოფლიდან ჩამოსული უცოდინარი გლეხის შვილი სამხედრო ცოდნასთან ერთად ღებულობს საერთო პოლიტიკურსა და სხვა საზოგადოებრივ განათლებას და ხდება საბჭოთა კავშირის ღირსეული მოქალაქე.

პირველი ლეგიონის მეთაურების შეხვედრამ და მათმა ზრუნვამ ჩვენზე ამაში დაგვარწმუნა.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ აქედან საკმაოდ მომზადებული დაუბრუნდებით ჩვენს სოფლებს, რომ იქაც განვაგრძოთ წითელ ყაზარმაში დაწყებული დიადი საქმე.

გაუმარჯოს ჩვენს მეთაურებს, გაუმარჯოს, წითელ არმიას, გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ხელისუფლებას.

ახალწვეული ილარიონ ელი.

## ჩამოვრჩით მეცადინეობას.

მე-2 არტლეგ. ბატარეია.

ამ რამოდენიმე დღის წინად აღნიშნულ ნაწილში 1-ლი არტლეგიონიდან გადაგვაგზავნეს რამოდენიმე წითელ არმიელები. ადგილობრივი მეთაურები ძლიერ კარგად შეგვხდენ. ცხოვრების პირობებიც ძლიერ კარგი გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად მივიწყებულია ნაწილში კულტურული მუშაობა. არავინ არ ფიქრობს პოლიტიკური, დრამატიული და საერთო განვითარების წრეების დაარსების შესახებ. არ მიმდინარეობს კულტურული საქმიანობა. დროა შესაფერი ყურადღებით მოეკიდებოდნენ ამხანაგები ამ გარემოებას. სანამდე უნდა ვიქნეთ ასეთ მდგომარეობაში? მოგვაქციეთ ყურადღება, ნუ ჩამოგვრჩენთ ჩვენს ნაწილს სხვა ნაწილებს მეცადინეობაში.

წ. არმ. პ. ბურკაძე.

## კინო-სურათი ყაზარმაში.

მე-6 ტერლეგიონი.

საღამოს ჟამია... ლეგიონის ეზოში ჯგუფჯგუფად შეგროვილან წითელ არმიელები და ერთობიან, ზოგი სიმღერით, ზოგი ცეკვით და ზოგიერთებიც რაღაცაზე საუბრობენ გაცხარებით. მხიარულების ცენტრი განსაკუთრებით ახალწვეულებია. ისინი კიდევ იმყოფებიან წითელი ყაზარმისაგან მიღებულ შთაბეჭდილების ქვეშ, რომელსაც იშვიათ ხალისიანობასა და სიხარულში ამჟღავნებენ.

ხშირად შეხვდებით ისეთ ახალწვეულ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცნობის მოყვარეობით უკვირდებიან ყველაფერს. დიდათ აინტერესებთ მათ კლუბი, იქ გამართული საუბრები, წარმოდგენები, კინო სურათები და მრავალი სხვა გასართობები.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ეზოში გართული ახალწვეულები ძლიერ გაახარა ცნობამ, კლუბში კინო სურათის გაშვების შესახებ.

საღამოს ასეულებად დაწყობილი ახალწვეულები წყნარად და წესიერად ისხდენ კლუბის დარბაზში.

კლუბში, ჩვენთან იყვნენ აგრეთვე მუშები სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციებიდან, ახკომკავშირელები, მოწაფეები და სხვა ახლო მდგომი ჯარის ნაწილებიდან.

სურათმა იშვიათი შთაბეჭდილება დასტოვა ახალწვეულებზე და დიდხანს არ შეუწყვეტიათ ლაპარაკი იმაზე, როდესაც დაბრუნდენ ყაზარმებში.

სამხკორი მ—ლი.

## პარტიული ცხოვრება

მე 6 ტერ-ლეგიონი.

22 ნოემბერს ლეგიონის პარტორგანიზაციის შემადგენლობა ახკომკავშირთან ერთად გავემგზავრეთ ზეთის სახელ ქარხანაში, სადაც მოწვეული იყო ქარხნის კომუჯრედთან გაერთიანებული კრება. მოსმენილი იქნა ამხ. ტუჟილოვის მოხსენება რუსულად, თბილისის კომიტეტის 6 კონფერეციის შედეგებზე. ამხანაგმა დაწვრილებით გააშუქა კომიტეტის მოღვაწეობა 11 თვის განმავლობაში. აღნიშნული იქნა პარტიის ზრდა, მისი ხელმძღვანელობა კომკავშირზე, მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომები, მიღწევები ეკონომიურ ფრონტზე და მრავალი სხვა.

მოხსენება შემდეგ გადათარგმნილი იქნა ქართულად. იყო მრავალი შეკითხვები. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოხსენებამ ახალწვეულ პარტიულ ამხანაგებზე.

დღის წესრიგში სხვა საკითხებიც იდგა გასარჩევად. მაგრამ დაგვიანების გამო გადადებულ იქნა შემდეგისათვის.

სამხკორი ე—ლი.

# ახალი ამბები.

— ბზის გატანა საზღვარ გარეთ. საქც. საზ-ბა „ტრანსპორტს“ საზღვარ გარეთ გააქვს გასასაღებლად 18.600 ფუთი ბზე.

— შრომის კომისარიატის ცნობით ტყიბულის მუშების საჭიროებისათვის შეუდგენ ახალი სახლების აშენებას.

— საქართ. გეოლოგიური ინსტიტუტის შენახვა იკისრა საქ. უმაღლ. ეკონომ. საბჭომ, რომელმაც უკვე გადასდო 18.920 მანეთი.

# უცხოეთის არმიებში

**რუმინეთის სამხედრო ვალების საკითხის ლიკვიდაცია.**

რუმინეთმა გადასწყვიტა შეუდგეს მოკავშირეებისადმი ვალდებულ სამხედრო ვალების საკითხის მოგვარებას. რუმინეთს მართებდა: საფრანგეთის—1.100.000.000 ფრანგული ფრანკი; ინგლისის—24.000.000 გირვანქა სტერლინგი (ერთი სტერლინგი დაახლოებით უდრის ერთ თუმანს); ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების 45 მილიონი დოლარი და იტალიის—150.000.000 იტალიური ლირა.

ინგლისთან უკვე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რადგანაც ინგლისი ვალდებულია გადაუხადოს რუმინეთს ინგლისის ოფიცრებისაგან დანგრეულ ნავთის წყაროების საფასური.

საფრანგეთსა და იტალიასთან ჯერ კიდევ სწარმოებს მოლაპარაკება.

(შემდეგი იქნება)

# მეცნიერება და ტექნიკა

**ვარსკვლავების ტემპერატურა.**

ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებამ უკვე სისწორით შესძლო ვარსკვლავების ტემპერატურის გამოკვლევა. აქამდე ამის შესახებ არ მოიპოებოდა სწორი ცნობები. ისე კი სხვა და სხვა მეცნიერს სხვა და სხვანაირი შეხედულება ჰქონდათ ამაზე. მარტო ჩვენი მზის ტემპერატურაზედაც იყო ასეთი უთანხმოება, მხოლოდ უკანასკნელად ცნობილი იქნა ერთი შეხედულება, რომ მზეს არ უნდა ჰქონდეს 3.000 გრ. სიცხეზე მეტი.

ამას გარდა სხვა ვარსკვლავებს თურმე არ ჰქონიათ ერთნაირი ტემპერატურა, მით უმეტეს ძლიერ განსხვავდებიან ისინი ჩვენი მზის ტემპერატურისაგან.

არის ერთი ვარსკვლავთა კრებული—„ვეშაპი“ (ასეთი სახელი იმიტომ ეწოდება ამ კრებულს, რომ ჯგუფში შემავალი ვარსკვლავები ვეშაპის სხეულის მოხაზულობით არის დალაგებული ცის თაღზე) რომლის ერთი ვარსკვლავის ტემპერატურა უდრის 2.000 გრადუსს, ხოლო ისეთი ვარსკვლავთა კრებულიც არის ცნობილი, რომლის ერთი ვარსკვლავის ტემპერატურა 28.000 გრადუსამდე აღწევს.

**რად ვარდება ძირს ზევით ასროლილი სხეული.**

მთავარი მიზეზი იმის, რომ ზევით ასროლილი სხეული ისევ ძირს მოდის და დედამიწაზე ვარდება, ის არის რომ დედამიწას აქვს მიმზიდველობის ძალა. რომ არ ყოფილიყო ასეთი ძალა, ზევით ასროლილი სხეული უკან აღარ დაბრუნდებოდა. წყლის ორთქლი, რომელიც ღრუბლების სახით ადის ზევით, აღარ დაბრუნდებოდა უკან წვიმის სახით. ამას გარდა ყველა ნივთიერებანი, რომლებიც კი დედამიწაზე იმყოფებიან და დაკავებული არიან მიმზიდველობის ძალით—უამისოდ გაიფანტებოდენ მსოფლიო სივრცეში.

ამავე მიმზიდველობის ძალის გავლენას განიცდის ის ატმოსფეროს რგოლი, რომელიც დედამიწას არტყია გარშემო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰაერიც გაიფანტებოდა მსოფლიო დაუსრულებელ სივრცეში და შეუძლებელი იქნებოდა დედამიწაზე ცხოვრება. ეს დამტკიცებულია მეცნიერულად და ამის უარყოფაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

მაგრამ ამ მიმზიდველობის ძალასაც აქვს თავისი საზღვარი. თუ მაგალითად ჩვენ ისეთი ძალით გავისვრით სხეულს, რომ წამში (სეკუნდი) მას შეეძლება გაიაროს 11 კილომეტრი მანძილი, მაშინ ის დასძლევს დედამიწის მიმზიდველობას და უკან აღარ დაბრუნდება—გადაიკარგება მსოფლიო პლანეტათა შორის სივრცეში.

სხვა და სხვა პლანეტებისათვის სხვა და სხვანაირია ეს ზღვარითი სიჩქარე. მეცნიერებას გამოანგარიშებული აქვს, რომ პლანეტა მარსის ზედაპირიდან გადასროლილ სხეულის გადასაკარგავად საჭიროა მიეცეს მას წამში 4.8 კილომეტრი სიჩქარე. მთვარეზე, კი 2.4 კილომეტრი წამში.

ჩვენ გასროლილ სხეულებს კი ასეთი სიჩქარე არ მიეცემა, რადგან ამას სჭირდება ძლიერ დიდი ძალა. მაშასადამე მიწის მიმზიდველობის დაძლევაც შესაძლებელი ყოფილა, თუ სხეულს მივსცემთ ზემოაღნიშნულ სიჩქარეს.

# პასუხი შეკითხვებზე.

**ჭანიშვილს.** თქვენ როგორც მოხალისე და დაბადებული 1906 წ. შეგიძლიათ პირველ დეკემბრამდე წახვიდეთ უვადო შვებულებაში.

**ხურციძეს.** ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურმა წელიწადი აუცილებლად უნდა იმსახუროს.

**ხოსროევს.** ვინაიდან თქვენ მსახურებთ და ამავე დროს თქვენი ძმაც გაუყვანიათ სამსახურში და ოჯახი დარჩენილა უპატრონოთ, ამიტომ თქვენმა ძმამ უნდა წარადგინოს სათანადო საბუთები და აღძრას შუამდგომლობა, რომ გადარიცხონ ტერნაწილში.

**ვ. ჩ.** თუ რა უფლებით სარგებლობს უმცროსი მეთაური, ამის შესახებ მიმართეთ ლეგიონის შტაბს.

**ვ. რ.** თუ ტაბულით დადებული აქვს უფლება, მაშინ შეუძლია ზემდეგს რევოლვერის ტარება.

**დაინტერესებულს.** კურსანტს არ შეუძლია ატაროს საკუთარი ტანსაცმელი.

**კურსანტს.** პარტიულ კურსანტის რევოლვერიც უნდა იყოს გატარებული რეგისტრაციაში.

**რონაძეს.** სახელმწიფო სამხატვრო სასწავლებელში შეგიძლიათ შესვლა თქვენი უფროსის ნებართვით. სწავლის ფულისაგან უნდა გაგანთავისუფლონ როგორც წ. არმიელი. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ. 1924 წ.)

**ჯავახიშვილს.** თავის დროზე უნდა წარგედგინად საბუთები. ეხლა დაგვიანებულია. დახმარებისათვის მიმართედ აღმასკომს.

**დ. გულოვს.** გამოცდების ჩაუბარებლად უმაღლეს სასწავლებელში არ მიგიღებენ.

**მარკარიანს.** ოჯახის წევრები, რომლებიც წ. არმიელის რჩენაზე იმყოფებიან თავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან 1 და 2 საფეხურის სასწავლებლებში.

**ფიჩუაშვილს.** თუ რა მიზეზია სამხედრო ტრიბუნალის მიერ მისჯილი სასჯელი არ გეთვლებათ იმ დღიდან, ამის შესახებ მიმართედ სამხ. ტრიბუნალს.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. კაკოს** (3-მე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „მიაქციეთ ყურადღება“ არ დაიბეჭდება. გაუშვით კედლის გაზეთში.

**ამხ. კენჭაძეს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ“ გადაეგზავნა ლეგიონის შტაბს.

**ამხ. ამხ. კახიძეს** (ცხენ. ლეგ.), **კაკოს** (3-მე ლეგ.) და **ტყემალაძეს** თქვენი წერილები: „ცხენოსანი ლეგიონი“, „ლენკუთხის მუშაობა“ და „დავიწყო გამოცდები“ იყო ერთხელ, მეორედ არ დაიბეჭდება.

**ამხ. მ. თეშვილს** (2-რე ლეგ.) წერილი „მეორე ლეგიონის მეფურნე“, გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. შ. რევიშვილს** თქვენი წერილი „ახალგაზრდობაზე“ გაუგებარია. არ ვავა. მოიწერეთ გარკვეულად.

**ამხ. ანდღულაძეს** თქვენი წერილი გადაეცა დივიზიის ექიმს, ზომების მისაღებათ.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-3-მე ქართულ მსრ. ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემოტანილია განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგების: 1) კოპერიძე გერასიმე ივანესძე (სიღნაღის მაზრა გიორგეთის თემის მცხოვრები), 2) კოკილაშვილი თედო ზარიასძეს (სიღნაღის მაზრა სოფ. ბოდბისხევის მცხოვრები). 3) ალადაშვილი მოსე ივანესძე. (სიღნაღის მაზრა სოფ. არბოშიკის მცხოვრები) 4) ჩიხრაძეს მალაქია ანტონისძეს. (რაჭის მაზრა სოფ. გომის მცხოვრები). 5) მეზრიშვილი ილო თომასძეს (სიღნაღის მაზრა სოფ. ოზანის მცხოვრები). 6) დეგებუაძე ლუკიან იონასძეს. (სენაკის მაზრა გურძემის თემის მცხოვრები), 7) ქანთარია ივანე გიორგისძეს (ქუთაისის მაზრა სამტრედიის რაიონიდან) 8) კასიევი ვასილი გაბოსძეს (ცხინვალის მაზრა. სოფ. ხელჩოს მცხოვრები) 9) ირემაშვილი ალექსი სტეფანესძეს (გორის მაზრის სოფ. კავთისხევის მცხოვრები).

ლეგიონის ბიურო-კოლექტივი სთხოვს ყველას გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში თუ რაიმე უარყოფითი იცით ამ ამხანაგების შესახებ.

ბ. კ. მდივანი ი. ბალათურია

1-ლ ქართულ მსრ. დივიზიის შტაბისა და პოლიტგანის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე დივიზიის წ. არმიელ ამხანაგებს: შალვა ალექსანდრეს ძე დადუნდარიძეს (ქუთაისის მაზრის სოფ. გურნის თემის მცხ.) და იასონ ალექსანდრეს ძე რაზმაძეს (ქალ. თბილისის მცხ.).

1-ლ ქართულ მსრ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანის კომუჯრედი გთხოვთ თუ ვინმეს საწინააღმდეგო გაქვთ ხსენებული ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ ცნობები გამოგზავნოთ ხსენებულ კომუჯრედში შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის შტაბის და პოლიტგანის კომუჯრედის მდივანს.

# სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცის“ გამგეობა

აცნობებს საბჭოს ყველა წევრებს, რომ 5 დეკემბერს საღამოს სამ საათზე გამგეობის კანტორაში (ტფილისი, რუსთაველი 34) გაიხსნება საზოგადოების საბჭოს სესია.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. გამგეობის მოხსენება—მომხსენებელი **ბოკოვი.**
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება—მომხ. **ბჟესკიხი.**
3. საფინანსო—საოპერაციო გეგმები და ხარჯთაღრიცხვა მომავალ წლისთვის—მომხ. **პოლიაკოვი.**
4. საკოოპერაციო პროპაგანდის მეთოდებისა და გეგმის შესახებ—**ბჟისკიხი.**
5. წევრთა პრემიებზე—**შირიაევი.**
6. გამგეობის წევრებად ეროვნულ დივიზიების წარმომადგენლობის შეყვანაზე.
7. რწმუნებულთა არჩევნები ცეკავშირის კავშირის კრებაზე.
8. რწმუნებულთა არჩევნები ამიერკავკასიის კავშირის რწმუნებულთა კრებაზე.

დასწრება საბჭოს ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ტფილისს გარედ მცხოვრები საბჭოს წევრები ღებულობენ სამგზავრო ფულს თანახმად გამგეობის დირექტივებისა სათანადო განყოფილებებიდან ან ქალაქ-გარე სავაჭროების გამგეებისაგან.

**გამგეობა.**

# ამ დღეებში განზრახულია
## მანუფაქტურის გაცემა გრძელვადიანი სესხის სახით

**სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცი“-ს გამგეობა**

სთხოვს კ. წ. დ. ა. ყველა ნაწილებსა და დაწესებულებებს, ქ. ტფილისში და მის რაიონებში მობინადრე ჯარებსა და ამიერკავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიების ორგანოებს

1-ლ დეკემბრამდი წარმოადგინონ განცხადებები გამგეობის მიერ შემუშავებული წესით.

სიებში შეტანილ უნდა იქნან მხოლოდ სამხედრო მომხმარებელ საზოგადოების წევრები, რომლებიც შეიტანენ 5 მანეთს საწევრო გადასახადს და რომლებზედაც არ ირიცხება ძველი ვალი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჯამაგირიდან ნისიის დაჭერა დაიწყება პირველი თვიდანვე, როცა წევრი მიიღებს საქონლის საკრედიტო ორდერებს. საკრედიტო ორდერები გაიცემა შემოტანილ განცხადების რიგის მიხედვით. კრედიტის სიდიდეს საბოლოოდ განსაზღვრავს სამხედრო მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა ცალკე თვითეულ ნაწილთან ხელშეკრულების მოწერის დროს.

ფართლეულის განსაზღვრული რაოდენობის გამო განცხადებები წარმოდგენილ უნდა იქნას საჩქაროდ.

მანუფაქტურის გაგზავნა კრედიტზე ბათუმში, ლენინაკანში, ქუთაისში, ახალციხეში, მანგლისში, კრ. კოლოდკ. და თელავში წარმოებულ იქნება საქონლის მიღებისა და გადაგზავნის მიხედვით.

# განცხადება.

**ქ. თბილისის გარნიზონის ნაწილების ყველა პარტიულ ორგანიზაციებს**

დღეს, 27 ნოემბერს, ქართულ დივიზიის ცენტრალურ კლუბის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 10) 18 საათზე მოწვეულია თბილისის გარნიზონის პარტაქტივის კრება.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. რატნეკის საინსტრუქციო მოხსენება—„1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავი“.

პოლიტსეკრეტარიატის უფროსი **ტაქტაევი.**

**დაიკარგა** განათლების კავშირის მგეჭდავთა სექციიდან ამა წ. 2 ივლისის თარიღით გაცემული საწევრო წიგნაკი სერაფიონ ბუაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.